განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 27-28 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 14 ივნისი

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**ევროპის უნივერსიტეტი** კერძო სამართლის იურიდიული პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201954956
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ვეტერინარია** Veterinary
უმაღლესი განათლების საფეური	II საფეხური (ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ვეტერინარიის მაგისტრი Master of Veterinary Medicine
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0841 ვეტერინარია / Veterinary
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/ საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბესარიონ ლასარეიშვილი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მელაშვილი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციცქიშვილი ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცი-ნის ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მირანდა ნონიკაშვილი საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წინამდებარე ანგარიში ეხება საკრედიტაციოდ წარმოდგენილ ვეტერინარიის ინტეგრირე-ბულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას (მოცულობა - 300 ECTS-ის კრედიტი). პროგრამა მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის საჭირო კურსებს. პროგრამა შემუშავებულია შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ თვითშეფასების გუნდის მიერ, რომელშიც შედის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი. პროგრამის შედგენაში მონაწილე გუნდმა გამოიყენა არსებული და საერთაშორისო გამოცდილება.

პროგრამა სტუდენტს სთავაზობს 77 სასწავლო კურსს (47 - სწავლის ძირითადი სფეროს, ხოლო 15 - ზოგადი და საბაზისო, 15 - არჩევითი), რომელთა მიწოდება სტუდენტებისთვის 10 სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობს. პროგრამაში აგრეთვე გათვალისწინებულია დარგობრივი (საწარმოო და კლინიკური) პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.

საგანმანათლებლო პროგრამის 300 კრედიტის განაწილება:

- ზოგადი/თავისუფალი კომპონენტი - 75 კრედიტი, მათ შორის: ზოგადი/თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 65 კრედიტი; თავისუფალი კომპო-ნენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი.
- სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები -178 კრედიტი;
- სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 9 კრედიტი;
- სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო კომპონენტი „პრაქტიკა“ – 24 კრედიტი;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - 14 კრედიტი;

თითოეული სასწავლო კურსის სწავლისას სტუდენტის აკადემიური მოსწრების შეფასება ხდება 100 ქულით, რომლიდანაც 40 ქულა მოდის დასკვნითი გამოცდის შეფასებაზე, ხოლო 60 ქულით ხდება შუალედური შეფასება. კლინიკური და საწარმოო პრაქტიკების შემთხვე-ვაში დასკვნით გამოცდა ფასდება 30 ქულით, ხოლო შუალედური შეფასების კომპონენ-

ტებზე ხდება დარჩენილი 70 ქულის გადანაწილება. შუალედური შეფასებების შედეგებით სტუდენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, არანაკლებ 30%. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50%.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 65 განმახორციელებელი პერსონალი, მათგან 24 არის აკადემიური პერსონალი (7 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი) და 41 მოწვეული პერსონალი. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 7-ს, მათგან 3 პროფესორია, 3 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი.

პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ლაბორატორიებით (ქიმიის, მიკრობიოლოგიის, ჰისტოლოგია-პათოლოგიის ლაბორატორია, ფიზიოლოგია-ანატომიის კაბინეტი), ბიბლიოთეკით, ელექტრონული რესურსებით, სააუდიტორიო სივრცითა და კომპიუტერული რესურსებით.

პროგრამაზე მიღების წესი არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულის შესაბამისი. პროგრამაზე ჩასარიცხად გამოცხადებულია 55 ადგილი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 27-28 აპრილს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ფარგლებში შეხვდა დაწესებულების ადმინისტრაციას (ნინო ტალიაშვილი - რექტორი, სოფიო ხუნდაძე - ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით, ელენე ჯიქია - ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; გიორგი გობრონიძე - სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი; თათია დოლიძე - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი; გვანცა ჯიჩოშვილი - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი); თვითშეფასების ჯგუფს (მედეა მაქაცარია - იურიდიული სამსახურის უფროსი; მარიამ ბარბაქაძე - სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის ხელმძღვანელი; მარიამ ნოზაძე - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი; სოფიო ხუნდაძე - ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით; გალია ცქვიტინიძე - პროფესორი, პროგრამის კომიტეტის წევრი; თენგიზ რუსია - შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი); პროგრამის ხელმძღვანელებს (მაია კერესელიძე - პროგრამის ხელმძღვანელი, აფილირებული პროფესორი; ნინო მილაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებს და სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ფაქტობრივი გარემოებები. ვიზიტი პოზიტიურად მიმდინარეობდა. გამოიკვეთა, რომ პროგრამის აკადემიურ პერსონალს აქვს დიდი პედაგოგიური გამოცდილება, დაწესებულების ადმინისტრაციას გააზრებული აქვს პროგრამის თავისებურებები და მნიშვნელობა და მოტივირებულია ხელი შეუწყოს პროგრამის განვითარებას. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს და პროგრამის ხელმძღვანელებს გაუზიარა რჩევები და გააცნო ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად შეფასდა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესატყვისობის საკითხი:

<u>სტანდარტი #1</u> - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (კომპონენტები 1.1 და 1.2 - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).

<u>სტანდარტი #2</u> - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (კომპონენტები 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5 და 2.6 - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).

<u>სტანდარტი #3</u> - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (კომპონენტები 3.1 და 3.2 - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).

<u>სტანდარტი 4</u> - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (კომპონენტები 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტი - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).

<u>სტანდარტი #5</u> - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (კომპონენტები 5.1, 5.2 და 5.3 - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).

- **რეკომენდაციები**

-

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - მიზანშეწონილია გასწორდეს და დაკორექტირდეს პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგებთან კავშირის რუკა.
  - გასწორდეს კურიკულუმის რუკაში არსებული მექანიკური შეცდომები.
  - სავეტერინარო იმუნოლოგიის კურსის კორექცია განხორციელდეს: მიეცეს სავეტერინარო სპეციფიკა ან გადაერქვას სახელი ზოგად იმუნოლოგიად; ძირითად ლიტერატურაში მოცემული პირველი წყარო გადატანილ იქნას დამხმარე ლიტერატურაში.
  - პირველი ორი წლის განმავლობაში არ გამოცხადდეს 55 ადგილზე მიღება, სანამ დაწესებულება არ შეიძენს ამ პროგრამის განხორციელების გარკვეულ გამოცდილებას და არ დარწმუნდდება საკუთარ შესაძლებლობებსა და რესურსების საკმარისობაში.
  - მიზანშეწონილია შეძენილ იქნას სტანდარტული პათ.ანატომიური მიკროსკოპული პრეპარატები.
  - სასურველია პროგრამის განმახორციელებელი ღვაწლმოსილი პედაგოგების მიერ ახალგაზრდა სამეცნირო-პედაგოგიური კადრების ასისტენტობის შესაძლებლობების უფრო ინტენსიურად გამოყენება ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების სრულყოფის მიზნით.
  - გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება გეგმავს ყოველწლიურად 55 სტუდენტის მიღებას, მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში უმჯობესი იქნება, თუ მოხდება არსებული მცირე მოცულობის თერმოსტატების და მაცივრების ჩანაცვლება შედარებით დიდი მოცულების მაცივრებით და თერმოსტატებით

- მიზანშეწონილია არსებული ავტოკლავი (რომელიც მოთავსებულია მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში) მოთავსდეს პირველ სართულზე არსებულ სივრცეში, სადაც არ იგეგმება სასწავლო პროცესის წარმართვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული დამატებითი ხმაური და გარემოს ჭარბი დატენიანება.
- მიზანშეწონილია გადაიხედოს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მიდგომა და პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის გამისაზღვროს არამხოლოდ თვისობრივი, არამედ რაოდენობრივი მაჩვენებლებიც.
- მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში არსებული ტერმინი „სპეციალობა“ შეიცვალოს ჩანაწერით „ძირითადი სწავლის სფერო“.
- მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ს წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.
- მიზანშეწონილია პროგრამის შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად გამოყენებულ იქნეს პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობების, მათ შორის დადგენილი ვადით და რაოდენობით სტუდენტთა მიღების მზაობის შესწავლა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - სხვადასხვა (განსაკუთრებით კი მაპროფილებელ) სასწავლო კურსებში დანერგილია ოსპი და ოსკი (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული და კლინიკური გამოცდა), რაც საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები შედგენილია მოქმედი „ვეტერინარიის" უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის (შემდგომში - ვეტერინარიის დარგობრივი მახასიათებელი) მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. პროგრამა საერთო ჯამში, მისი მიზნებით, შედეგებით, კომპონენტებით და შინაარსით თანხვედრაშია ვეტერინარიის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან. პროგრამის მიზნები მკაფიოდ და ცალსახად არის გაწერილი. თუმცა, მე-2, მე-3 და მე-5 მიზანი გარკვეულ შინაარსობრივ გადაფარვაშია ერთმანეთთან, მე-4 მიზანი პირდაპირ და გამოკვეთილად ნაკლებად წარმოადგენს პროგრამის კურსდამთავრებულის პრეროგატივას, ამ მიზნის კონტექსტი შეიძლება ჩადებულიყო შემდეგ ფორმულირებაში: „იცოდეს ცხოველთა ოპტიმალური მოვლა-შენახვის და სრულფასოვანი კვების თავისებურებები". პროგრამის მიზნები უნდა იყოს დაწერილი ზუსტად და მკაფიოდ უკავშირებდეს მათ შეფასების შედეგებს. პროგრამა მოითხოვს პროგრამული დონის შეფასების გეგმას, რომელიც აღწერს თუ როგორაა თავის მხრივ აღწერილი პროგრამის მიზნები პროგრამის კომპონენტების შეფასების შედეგებით. ახალი პროგრამის შედგენა ხდება შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ ადგენენ პროგრამის მიზნებს, შემდეგ გაიწერება ის შედეგები, რაც უნდა იქნეს მიღწეული. პროგრამის კომპონენტები, მათი შინაარსის (თემატიკების) გათვალისწინებით, სწორადაა შედგენილი, რაც განპირობებულია პროგრამის აკადემიური პერსონალის ვეტერინარიის სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით და ანალოგი პროგრამების გამოცდილების გათვალისწინებით. თუმცა, მიზნების გაუმჯობესება ფორმულირების თვალსაზრისით მაინც მიზანშეწონილია შესაბამისი რუკების შესადგენად, რაც იქნება გამოყენებული პროგრამის შეფასების, მისი ეფექტური მუშაობის გადახედვისა და გაუმჯობესებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ასევე პროგრამის დანართი #1; ○ უცხოეთის პროგრამებთან დადარების დოკუმენტი; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მიზანშეწონილია გასწორდეს და დაკორექტირდეს პროგრამის მიზნების და პროგრამის კომპო-

ნენტების სწავლის შედეგებთან კავშირის რუკა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის და მისი კომპონენტების სწავლის შედეგები მოიცავს „ვეტერინარიის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში პროგრამის შედეგები მკაფიოდ და სწორად არის ფორმულირებული, რაც იძლევა მათი დაკვირვების, სრულყოფილი შეფასების და გაზომვის საშუალებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია ○ ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ○ შენობის და მატერიალურ/ტექნიკური რესურსის დათვალიერება.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს „ევროპის უნივერსიტეტში“. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები: 1) ქართულ ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ინგლისური ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა). აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი; 2) მათემატიკა/ისტორია/ბიოლოგია/ქიმია. აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. თითოეული საგნისათვის (მათემატიკა/ისტორია/ბიოლოგია/ქიმია) განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე. ამრიგად, პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამის წინაპირობები არის საჯარო და გამჭვირვალე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის, „ვეტერინარიის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის და კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების თანამიმდევრობა ლოგიკურია. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 5 აკადემიურ წელს (10 სემესტრს) და მოიცავს 300 ECTS-ის კრედიტს. 1 კრედიტი შეადგენს 25 ასტრონომიულ საათს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: ლექციებს, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობებს, საკლასო აქტივობებისა და საშინაო დავალებებისთვის მომზადებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას. პროგრამის კრედიტების განაწილება: ○ ზოგადი/თავისუფალი კომპონენტი - 75 კრედიტი, მათ შორის: ზოგადი/თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 65 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი. ○ სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები -178 კრედიტი; ○ სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 9 კრედიტი. ○ სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო კომპონენტი „პრაქტიკა“ – 24 კრედიტი; ○ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - 14 კრედიტი. პროგრამაში გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო კურსი დათემა, რომლებიც თანმიმდევრულად არის დალაგებული, რაც სტუდენტს საფეხურებრივი

ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები; ○ პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; ○ პროგრამის კურიკულუმის რუკა; ○ ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების შინაარსი მთლიანად ფარავს „ვეტერინარიის“ უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში გათვალისწინებულ თემებს. პროგრამის კომპონენტების (სასწავლო კურსები, სხვ.) შინაარსი შეესაბამება მათთვის დადგენილ კრედიტებს. შედეგებში გამოყენებული დესკრიპტორები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მაგისტრატურის დონეს. პროგრამის კურიკულუმის რუკაში ცალკეული საგნების პროგრამის მიზნებზე გამავალ ცხრილში არის ცალკეული მექანიკური შეცდომები, რაც საჭიროებს კორექციას. პირველადი აკრედიტაციის დროს გაცემული ყველა რეკომენდაცია პრაქტიკულად შესრულებულია. გასწორებულია სასწავლო კურსების სილაბუსები. თუმცა, სავეტერინარო იმუნოლოგიის კურსში კვლავაც იგრძნობა კორექციის შეტანის აუცილებლობა. კურსში მოცემული თემატიკები ზოგადი იმუნოლოგიის თემატიკებს შეესაბამება. სილაბუსში გაწერილ თემებში არ იგრძნობა სავეტერინარო იმუნოლოგიის სპეციფიკა, არ არის აქცენტები გაკეთებული ცხოველებზე. ამავე დროს, მითითებულ ძირითად ლიტერატურაში პირველი წყარო (შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე) უფრო დამხმარე ლიტერატურას შეესაბამება, ხოლო

მეორე წყარო შეიძლება ძირითად მთავარ ლიტერატურად იქნას გამოყენებული. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას ცალსახად იგრძნობა, რომ აკადემიური პერსონალის და ხარისხის სამსახურის მიერ სასწავლო დოკუმენტების შედგენაში დიდი შრომა არის ჩადებული და უმრავლეს შემთხვევაში მკაფიოდ იგრძნობა მათი პროფესიონალიზმი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ გასწორდეს კურიკულუმის რუკაში არსებული მექანიკური შეცდომები; ○ სავეტერინარო იმუნოლოგიის კურსის კორექცია განხორციელდეს: მიეცეს სავეტერინარო სპეციფიკა ან გადაერქვას სახელი ზოგად იმუნოლოგიად; ძირითად ლიტერატურაში მოცემული პირველი წყარო გადატანილ იქნას დამხმარე ლიტერატურაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო უნარების განვითარება, მათი კვლევით პროექტებში და ფართო სპექტრის პროფესიულ საქმიანობაში ჩართვით. ამის მიღწევა შესაძლოა მოხდეს დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობით, მრავალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მხარდაჭერით. ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს აქვთ საშუალება პრაქტიკა გაიარონ შესაბამის დარგობრივ ობიექტებზე, რასაც ხელს უწყობს თანამშრომლობის მემორანდუმები, პროგრამაში ჩართული პერსონალის მაღალი ენთუზიაზმი, პირადი კავშირები და გამოცდილება. საგანმანათლებლო პროცესში დიდი ადგილი უკავია პრაქტიკას სხვადასხვა პროფილის ობიექტებზე, რასაც ფრთხილი და მოქნილი მენეჯმენტი სჭირდება. პროგრამის ბოლოს მოსამზადებელია სამაგისტრო კვლევითი ნაშრომი/პროექტი, რასაც შესაბამისი საკმაოდ დიდი სამეცნიერო თუ კლინიკური ბაზა ესაჭიროება. მიმდინარე წელს პროგრამა აცხადებს 55 თავისუფალ ადგილს, რაც ახალი პროგრამისთვის ცოტა მეტად და სარისკოდ გვეჩვენება. ვეტერინარიის პროგრამა თავისი სპეციფიკიდან (ფართო პროფილი, პრაქტიკული აქტივო-

ბებით გაჯერებული) და შინაარსიდან გამომდინარე რთულად განხორციელებადი, სამართავი და ხარჯიანი პროგრამაა, ამიტომ იმისთვის რომ ხარისხი რისკის ქვეშ არ დავაყენოთ, სასურველია თავიდან შედარებით უფრო მცირე რაოდენობაზე (35-მდე) გაიტესტოს/ შემოწმდეს პროგრამის ეფექტურობა და ქმედითუნარიანობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები
- თანამშრომლობის ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პირველი ორი წლის განმავლობაში არ გამოცხადდეს 55 ადგილზე მიღება, სანამ დაწესებულება არ შეიძენს ამ პროგრამის განხორციელების გარკვეულ გამოცდილებას და არ დარწმუნდდება საკუთარ შესაძლებლობებსა და რესურსების საკმარისობაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტები თანმიმდევრული და ლოგიკურია, ატარებს კომპლექსურ ხასიათს. სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლის შედეგებს.

ბიოსამედიცინო პროფილის სასწავლო კურსებში გამოყენებულია ლაბორატორიული მეცადინეობები, ხოლო მაპროფილებელ კლინიკურ საგნებში მეცადინეობები ჩატარდება სიმულატორებზე, მულაჟებზე, რაც ხელს უწყობს სტუდენტს ჩამოუყალიბდეს პაციენტთან მუშაობისა და შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების ჩატარების უნარ-ჩვევები.

პროგრამისთვის არსებობს ლაბორატორიული ბაზა (აპარატურა, მასალები, პრეპარატები...) ქიმიის, მიკრობიოლოგიის, ჰისტოლოგიის, ანატომიის, ვეტ-სან ექსპერტიზის ლაბორატორიული/პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად. აღჭურვილია შესაბამისი ინსტრუმენტებით, მულაჟებით, სიმულატორებით, მანეკენებით კლინიკური საგნების (ქირურგია, მეანობა, ცხოველთა გამრავლების ბიოტექნოლოგია...) ჩასატარებელი ოთახებიც.

მიზანშეწონილია, რომ პა.ანატომიის სასწავლო კურსისთვის შეძენილ იქნეს პათოლოგიების სტანდარტულ მიკროსკოპულ პრეპარატები, რომელთა არსებობა ობიექტზე ვიზიტის დროს ვერ დადგინდა.

საბოლოო ჯამში, პროგრამა აღჭურვილია პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ჩასატარებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც სწავლების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად გაზრდის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის კომპონენტების სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები; ○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მიზანშეწონილია შეძენილ იქნას სტანდარტული პათ.ანატომიური მიკროსკოპული პრეპარატები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება კანონმდებლობის თანახმად 100-ქულიანი სისტემით იწარმოებს. სტუდენტებს აქვთ საშუალება გაეცნონ მიღებულ შედეგებს. პროგრამისა და მისი კომპონენტების დოკუმენტაცია ნათლად ადასტურებს თუ როგორ შეესაბამება კურსების შეფასების პროცედურები საქართველოს კანონმდებლობას. შეფასებების დიდი უმეტესობა წერითია. შეფასების შედეგები ვლინდება ვირტუალური, ელექტრონული სასწავლო გარემოს ინსტრუმენტის გამოყენებით, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი შედეგებისა და ნებისმიერი უკუკავშირის ნახვა. მიღებული შეფასებების გასაჩივრების პროცესი აღწერილია შესაბამის დოკუმენტაციაში. შეფასების შედეგების შეჯერების პოლიტიკა და პროცედურები კურსისა და პროგრამის მენეჯმენტის ინფორმირებისათვის შემუშავებულია, თუმცა ეს პროგრამა ახალია და დღეისათვის ამაზე მონაცემები არ არსებობს. პრაქტიკული უნარ-ჩვევები ფასდება უწყვეტი და ცალკეული საგნების შემთხვევაში - შემაჯამებელი შეფასების პრინციპით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ცალკეულ მაპროფილებელი კურსების (ჰისტოლოგია, ანატომია, პროპედევტიკა, შინაგანი დაავადებები...) ფარგლებში

მოხდება კურსის განმავლობაში მიღებული უნარ-ჩვევების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასების უზრუნველყოფა - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური/პრაქტიკული გამოცდის (OSCE/OSPE) ფორმატში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასებს ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ○ ადგილზე ვიზიტი (ფაქტობრივი გარემოებები)
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): სხვადასხვა (განსკუთრებით კი მაპროფილებელ) სასწავლო კურსებში დანერგილია ოსპი/ოსკი (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული და კლინიკური გამოცდა), რაც შეფასების ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის გაცნობისა და ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუების შედეგების თანახმად, დასტურდება რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა სამართლებრივი აქტები, რომელიც არეგულირებს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, მისი შეჩერების და/ან შეწყვეტის, სტატუსის აღდგენის, განათლების აღიარების, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა https://eunsis.eun.edu.ge/, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ელექტრონულად პორტალზე გაიარონ სემესტრული რეგისტრაცია და შეამოწმონ საკუთარი მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებები. გარდა ამისა, სტუდენტებსა და პერსონალს შორის მასალების საკომუნიკაციოდ გამოიყენება Moodle-ის ელექტრონული პლატფორმა: https://moodle.edu.ge/moodle/ დაწესებულებაში 2018-2019 წლის აკადემიური წლიდან ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტებს კარიერულ განვითარებასა და დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ამჟამად არ ჰყავს აქტიური სტუდენტი და არც კურსდამთავრებული. თუმცა, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ამავე დაწესებულების ქართულენოვანი დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა (სწავლების მე-2 სემესტრი) და სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა ინტერვიუირება, რომლის შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტებისთვის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან კომუნიკაციის საშუალებები ცნობილია და წარმატებით გამოიყენება. კერძოდ - დაწესებულების ვებგვერდი და ელექტრონული ფოსტა, ასევე სხვადასხვა სოციალური ქსელები (მაგალითად, დახურული საკომუნიკაციო ჯგუფი სოციალურ ქსელში კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციისთვის). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამაში არსებულ ყველა სილაბუსში და Moodle-ის ელექტრონულ გვერდზე განსაზღვრულია ლექტორთან კონსულტაციის დრო. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, ვეტერინარიის პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის დაგეგმილია ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორობა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება. სამომავლოდ, სასურველია ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მონაწილეობა წახალისდეს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვადასხვა კვლევით პროექტებში სავეტერინარო მედიცინის, სურსათის უვნებლობის, გარემოს დაცვის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ევროპის უნივერსიტეტის დებულება; ○ ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის

დანართები; ○ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის დებულება ○ ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://eu.edu.ge/; ○ https://eunsis.eun.edu.ge/ ○ https://moodle.edu.ge/moodle/ ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვეტერინარიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ნაწილს. კერძოდ, 19 კრედიტის მოცულობით ეთმობა სამეცნიერო კომპონენტს, მათ შორისაა მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია და უნარ-ჩვევები (5 ECTS, VII სემესტრი) და სამეცნიერო ნაშრომი (14 ECTS), რომლის შესრულება გათვალისწინებულია მე-10 სემესტრში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის და „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის“ თანახმად სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეუძლია დაწესებულების აკადემიურ პერსონალს ან მოწვეულ სპეციალისტს, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი; ასევე, პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტს, რომელსაც აქვს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის გამოცდილება და შესაბამისი კვალიფიკაცია. ვინაიდან პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი არ გაცნობია დაცულ სამაგისტრო ნაშრომებს. თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გათვალისწინებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომები შემოწმდება Turnitin-ის პლატფორმის გამოყენებით და მხოლოდ ამის შემდეგ წარედგინება საბჭოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი; ○ მაგისტრატურანტების ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების CV-ები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები (მ.შ. სამეცნიერო ნაშრომის სილაბუსი);

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ახორციელებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, მათ გააჩნიათ მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება, ვეტერინარული პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ფუნქციები და დატვირთვა სრულადაა შესაბამისობაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომელიც რეგულირდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და დაწესებულებაში მოქმედი შიდა რეგულაციებით.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის დამადასტურებელია მათ მიერ წარმოდგენილი (იხ. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული 160-მდე სამეცნიერო ნაშრომის სია, სადაც ასახულია ადგილობრივ/საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამონათვალი, მათ მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციებელი პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა: პროფესორი - არაუმეტეს 270 საათისა; ასოცირებული პროფესორი - არაუმეტეს 315 საათისა; ასისტენტ-პროფესორი - არაუმეტეს 360 საათისა; ასისტენტი - არაუმეტეს 360 საათისა, რაც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ასევე მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვას.

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულა 65 პერსონალი, მათ შორის 24 აკადემიური პერსონალი და 2 მეცნიერი, მათგან 7 აკადემიური თანამდებობის პირი არის აფილირებული. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მეცნიერთა ჩართულობა, უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროგრამის განხორციელებას, ასევე შესაბამისი კვლევისა და მათთვის მინიჭებული სხვა ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსია 24/41.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მხოლოდ 3 ასისტენტ-პროფესორი, მათგან მხოლოდ 2 აფილირებული. ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების სრულყოფის მიზნით, იქნებოდა ღირებული თუ პროგრამის განმახორციელებელი ღვაწლმოსილი პედაგოგები უფრო ინტენსიურად გამოიყენებდნენ ახალგაზრდა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ასისტენტობის შესაძლებლობებს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შესამუშავებლად გათვალისწინებულია უცხოეთის და ადგილობრივი უნივერსიტეტების გამოცდილება, გაფორმებულია მემორანდუმები უცხოეთის ვეტერინარული მიმართულების საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან (დანართი 10 „საერთაშორისო თანამშრომლობის დამატებითი დოკუმენტები“), რაც ხაზს უსვამს პროგრამის შემსრულებელთა ხედვას/მისწრაფებას მოამზადონ სპეციალისტები, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ.

გამომდინარე აღნიშნულიდან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია გამოცდილი პედაგოგები, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ თანამედროვე სასწავლო გარემო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გათ-

ვალისწინების ანგარიში;
- ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევის წესი;
- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი ფაილები;
- პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი ფაილები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელშეკრულებები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- აკადემიური პერსონალის პროგრამაში დატვირთვის სქემა;
- გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის განმახორციელებელი ღვაწლმოსილი პროფესორების მიერ ახალგაზრდა სამეცნირო-პედაგოგიური კადრების ასისტენტობის შესაძლებლობების ინტენსიურად გამოყენება ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების სრულყოფის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 20 მარტის №83 ბრძანებით) მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, რეგულარულად ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო შედეგების ანალიზი. შეფასების წესით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში დაწესებულების აფილირებული და მოწვეული პერსონალი იღებს წესით განსაზღვრულ ანაზღაურებას, რაც დაწესებულების მხრიდან მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ ხელშეწყობად და მხარდაჭერად განიხილება. მეცნიერის ყოველწლიური შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში.

დაწესებულებაში 2018 – 2019 სასწავლო წლიდან, ასევე ხორციელდება აკადემიური და მოწ-

ვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის მიხედვით შეფასება, აღნიშნული პროცესი, ასევე, რეგულირდება 2020 წლის 20 მარტის №83 ბრძანებით დადგენილი წესით. აკადემიური საქმიანობის შეფასება გულისხმობს პერსონალის შეფასებას სტუდენტის, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის წახალისების მიზნით, კერძოდ, სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თითოეულ ფაკულტეტზე განსაზღვრულია ფულადი ჯილდოები. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ასევე გულისხმობს სააუდიტორო საქმიანობის შეფასებას (შეფასების პროცესი რეგულირდება „ევროპის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების“ შესაბამისად, (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 20 მარტის №85 ბრძანებით). აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ დაწესებულების ადმინისტრაციამ მოგვაწოდა სააუდიტორო საქმიანობის შეფასების თანდართული ანგარიშები, გაცემული უკუკავშირები და შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები, რაც ნათელს ფენს პედაგოგიური პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების მნიშვნელობას. პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების დეტალები ასევე დაწვრილებითაა გადმოცემული პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში.

დაწესებულებას ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის შეთანხმება გაფორმებული აქვს 6 საზღვარგარეთის უნივერსიტეტთან (მალაგას უნივერსიტეტი (ესპანეთი), WSB უნივერსიტეტი (პოლონეთი), მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), ტიმიშოარას დასავლეთ უნივერსიტეტი (რუმინეთი), პარ საუნივერსიტეტო კოლეჯი (ხორვატია) და ვროცლავის ბიზნესის უნივერსიტეტი (პოლონეთი)). აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე ERASMUS + მობილობის პროგრამით 2020 წლიდან უკვე ისარგებლა 2-მა ლექტორმა და ადმინისტრაციის 2-მა თანამშრომელმა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიში 2020-2021 აკადემიურ წელს განხორციელებული აქტივობების შესახებ, სადაც დეტალურადაა აღწერილი გეგმები და საქმიანობა და ხაზგასმულია დაწესებულების მიერ საერთაშორისო დონეზე მიმდინარე აქტივობები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულებით.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი, რომელიც ზრუნავს დაწესებულების აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. აღნიშნული ტრენინგ-ცენტრის ბაზაზე 2019-2021 წლებში კვალიფიკაცია აიმაღლა დაწესებულების მრავალმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, მათ შორის წარმოდგენილი ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია როგორც „ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის“ ანგარიშში, ასევე პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში.

აღნიშნული დეტალები, ცალსახად გვაძლევს საშუალებას მივცეთ დადებითი შეფასება და გავაკეთოთ დასკვნა, რომ დაწესებულება ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- ვეტერინარიის ფაკულტეტის 2022-2023 აკადემიური წლის ბიუჯეტი;

- ევროპის უნივერსიტეტის კვლევის დაფინანსების წესი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ანგარიში განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგების შესახებ;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიში;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი ფაილები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელშეკრულებები;
- ინტერვიუ აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან;
- ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა: https://eunsis.eun.edu.ge/;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eu.edu.ge/ge;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელება იგეგმება შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ როგორც ადმინისტრა-ციულ (გურამიშვილის გამზირი №76, თბილისი), ასევე დაწესებულების მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში (სარაჯიშვილის ქ. №17, თბილისი). აქვე, ხაზი უნდა გაესვას ფაქტს, რომ მედიცინის და ვეტერინარიის ფაკულტეტების საქმიანობა წარიმართება პარალელურად (თეორიული კურსების უმეტესი ნაწილი ერთ კამპუსში), აღნიშნული მეტყველებს ერთგვარ ინოვაციურ-ექსპერიმენტულ მიდგომაზე, რაც ახალია საქართველოსთვის. დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან იკვეთება „ერთი ჯანმრთელობის პრინციპების“ დანერგვის მცდელობის ელემენტები, რაც ცალსახად მისასალმებელია. ფაკულტეტის თანამშრომლობა მედიცინის ფაკულტეტთან უდავოდ პოზიტიურად აისახება მის განვითარებაზე.

კლინიკური სასწავლო ობიექტები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც ფუნქციონირებენ დაწესებულების ბაზაზე, არის აღჭურვილი ყველა აუცილებელი ატრიბუტით აღსანიშნავია უახლესი ვეტერინარული აღჭურვილობა, მათ შორის ცხოველთა მულიაჟები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს ცოცხალი ცხოველების

ჩართულობის გარეშე შეასრულონ რიგი ვეტერინარული სადიაგნოსტიკო, ქირურგიული თუ გინეკოლოგიური მანიპულაციები.

მოწყობილია კლინიკური საგნების პრაქტიკუმების ჩასატარებლად აუცილებელი სპეციალური სივრცეები - ქირურგიული სამანიპულაციო, კლინიკური დიაგნოსტიკის ლაბორატორია აუცილებელი აღჭურვით, მიკრობიოლოგიის, ჰისტოლოგიის და სხვა. წარმოდგენილი სივრცეების ნაწილი განლაგებულია კამპუსის პირველ სართულზე და გააჩნია ინდივიდუალური შესასვლელი საკვლევი ცხოველების გადაადგილებისთვის, აღნიშნული ასევე სრულყოფილს ქმნის ბიოუსაფრთხოების დეტალების უზრუნველყოფას ბიოლოგიური ნარჩენების გატანის კუთხით.

აქვე აღსანიშნავია რამდენიმე დეტალი, რომელიც სასურველია გათვალისწინებულ იქნეს ვეტერინარიის ფაკულტეტის მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება გეგმავს ყოველწლიურად 55 სტუდენტის მიღებას, მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში უმჯობესი იქნება, თუ მოხდება არსებული მცირე მოცულობის თერმოსტატების და მაცივრების ჩანაცვლება შედარებით დიდი მოცულების მაცივრებით და თერმოსტატებით, ასევე უმჯობესია არსებული ავტოკლავი (რომელიც მოთავსებულია მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში) მოთავსდეს პირველ სართულზე არსებულ სივრცეში, სადაც არ იგეგმება სასწავლო პროცესის წარმართვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული დამატებითი ხმაური და სასწავლო გარემოს ჭარბი დატენიანება.

მიმდინარე წელს პროგრამა აცხადებს 55 თავისუფალ ადგილს, რაც ახალი პროგრამისთვის ცოტა მეტად და სარისკოდ გვეჩვენება. ვეტერინარიის პროგრამა თავისი სპეციფიკიდან (ფართო პროფილი, პრაქტიკული აქტივობებით გაჯერებული) და შინაარსიდან გამომდინარე რთულად განხორციელებადი, სამართავი და ხარჯიანი პროგრამაა, ამიტომ იმისთვის რომ ხარისხი რისკის ქვეშ არ დავაყენოთ, სასურველია თავიდან შედარებით უფრო მცირე რაოდენობაზე (35-მდე) გაიტესტოს/ შემოწმდეს პროგრამის ეფექტურობა და ქმედითუნარიანობა.

საუნივერსიტეტო ბაზაზე დაწყებულია მცირე ,,ვივარიუმის“ (ლაბ ცხოველების გასაჩერებელი ოთახის) რეკონსტრუქცია, რომელიც გათვლილია მცირე ლაბორატორიული ცხოველებისა შენახვისათვის, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც სასწავლო მიზნებისთვის, ისე სამაგისტრო ცდების შესასრულებლად.

პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების ვრცელი ჩამონათვალი, მათ შორის ქვეყანაში მოქმედი ვეტ. კლინიკებთან, ფერმებთან, ლაბორატორიებთან, სასაკლაო და ხორცის გადასამუშავებელ საწარმოებთან, ცხოველთა თავშესაფრებთან და ზოოპარკთან, სავეტერინარო აფთიაქებთან და ზოომაღაზიებთან, ფარმაცევტული პროფილის საწარმოსთან და სხვა, სადაც სტუდენტებს შეეძლებათ გაიარონ სასწავლო კლინიკური და საწარმოო პრაქტიკა.

დაწესებულების კამპუსების ინფრასტრუქტურა მოიცავს სასწავლო და საერთო სარგებლობის ფართებს, მათ შორის მოსასვენებელ და საკონფერენციო სივრცეებს, კაფეტერიას, თანამედროვე პარკინგს, აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას და სხვა.

ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო ლიტერატურა, როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული რესურსებით. შესაბამისად, უზრუნველყოფილია ლიტერატურაზე დისტანციური წვდომა. ევროპის უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ სამეცნიერო ბაზებზე: EBSCO EP Package ELITE, eIFL, Elsevier - ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის. ბიბლიოთეკა, ორივე კორპუსში, მუშაობს 10:00 საათიდან 20:00 საათამდე, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით. როგორც სტუდენტები, ასევე პერსონალი

ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია, თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტი დაწესებულებაში ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დათვალიერების მიზნით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- ინტერვიუ აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან;
- ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა: https://eunsis.eun.edu.ge/;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eu.edu.ge/ge;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება გეგმავს ყოველწლიურად 55 სტუდენტის მიღებას, მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში უმჯობესი იქნება, თუ მოხდება არსებული მცირე მოცულობის თერმოსტატების და მაცივრების ჩანაცვლება შედარებით დიდი მოცულების მაცივრებით და თერმოსტატებით
- მიზანშეწონილია არსებული ავტოკლავი (რომელიც მოთავსებულია მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში) მოთავსდეს პირველ სართულზე არსებულ სივრცეში, სადაც არ იგეგმება სასწავლო პროცესის წარმართვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული დამატებითი ხმაური და გარემოს ჭარბი დატენიანება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებამ განსახილველად წარმოგვიდგინა 2021-2022 სასწავლო წლის ფინანსური გეგმა, სადაც დეტალურადაა გაწერილი ფინანსური შემოსავალი და ხარჯვითი ნაწილი. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ დაწესებულება არის ფინანსურად ძლიერი

ინსტიტუცია: მისი ყოველწლიური ფინანსური მოგება შეადგენს 2,741 692 ლარს. ვეტერინარიის ფაკულტეტის 2022 – 2023 სასწავლო წლის გეგმაში გაწერილია როგორც შემოსავალი, ასევე გასავალი. დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ვეტერინარიის ფაკულტეტი სტუდენტებიდან სწავლის საფასურის სახით წლიურად მიიღებს შემოსავალს 192 500 ლარის ოდენობით. რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, დეტალურადაა გაწერილი სახელფასო ხარჯი, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და სტუდენტ-თა/აკადემიური პერსონალის აქტივობის ხარჯი, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის ხარჯი, კაპიტალიზებული ხარჯი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები. ხარჯვითი ნაწილი საკმაოდ სოლიდურია (228 283 ლარი) და მას ვერ ფარავს 2022-2023 სასწავლო წლის ვეტერინარიის ფაკულტეტის ფინანსური შემოსავალი, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ინსტიტუცია არის ფინანსურად სტაბილური, მომგებიანი ორგანიზაცია, ადმინისტრაციას განსაზღვრული აქვს სრული ფინასური მხარდაჭერა პროგრამის განსახორციელებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ბიუჯეტი; ○ ვეტერინარიის ფაკულტეტის 2022 – 2023 სასწავლო წლის გეგმა; ○ ვეტერინარიის ფაკულტეტის 2022-2023 აკადემიური წლის ბიუჯეტი; ○ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრმის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში ხარისხის მართვის, ასევე პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების საკითხების მომწესრიგებელ დოკუმენტებს მიეკუთვნება: • „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“, რომელშიც განსაზღვრულია: 1) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანი (მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფა; რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა; მოქმედი რეგულაციების კანონმდებლობასთან და მოქმედ რეგულაციებთან დაწესებულების საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა); 2) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების არე (პროგრამები; პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი; სასწავლო პროცესი; კვლევა; მართვის პროცესები); 3) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (სისტემის ფუნქციონირების პრინციპი (PDCA); 4) ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ყველა სტრუქტურული ერთეული და თანამშრომელი პასუხისმგებლობის ფარგლებში); 5) ხარისხის შიდა და გარე შეფასება (გარე შეფასება - ავტორიზაცია, აკრედიტაცია, მონიტორინგი; საერთაშორისო ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაცია; ადგილობრივი/საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების, პრაქტიკის ობიექტების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციების და სხვა გარე შემფასებლების მიერ განხორციელებული შეფასები; შიდა შეფასება - დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმებისა და წესების მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასება); 6) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ინსტრუმენტები (მიმართულებები - სწავლა-სწავლება და მომსახურება; კვლევა; მართვის პროცესები. თითოეული მიმართულებისთვის განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტი და შედეგების გამოყენების პროცედურა). მითითებული დოკუმენტის დანნართია „საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასების ფორმა“, რომელიც ადგენს შეფასების ობიექტს და კომპონენტებს და თითოეულის შეფასებისთვის გამოყენებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს/წესებს და შეფასების ინსტრუმენტებს. ხარისხის მართვის სისტემის ნაწილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშგება და შედეგების გამოყენება - დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასებების შედეგების ანალიზი და შემუშავებული რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, სტრუქტურული ერთეულების მხრიდან განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს განხორცეილებული რეაგირება და მოხდეს სამომავლოდ დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი. დაგეგმილი რეაგი-

რებების შესრულებას მონიტორინგს უწევენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/პირების კურატორი - ვიცე-რექტორი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წლიური ანგარიში განხოციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და რეაგირების შესახებ წარედგინება ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორს გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, გაანალიზების, დახვეწისა და გაუმჯობესების საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით. ანგარიში გაცნობის და რეკომენდაციების მიღების მიზნით იცე-რექტორის მიერ წარედგინება მმართველ საბჭოს.

- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“, რომელშიც განსაზღვრულია: 1) პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცედურები (პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების ეტაპები; პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეები და მათი განსაზღვრის მიდგომები; პროგრამის შემუშავების კოორდინატორის ვინაობა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები; პროგრამის შემუშავებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტები; პროგრამის შემუშავების პროცესის თავისებურებები და ძირითადი ასპექტები, პროგრამის საბოლო განხილვა და დამტკიცება); 2) საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და ცვლილებების შეტანა (პროგრამის განვითარებაზე პასუხისმგებელი მხარეები; პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საფუძველი; პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპები, ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების წესი).

  დოკუმენტის დანართებია „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების სქემა“, „საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ციკლი“, პროგრამის კურიკულუმის, სილაბუსის და სხვა უნიფიცირებული ფორმები (მაგალითად, „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება“, „პროგრამის კომპონენტები კრედიტებისა და სასწავლო სემესტრების მითითებით“, „პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი“, „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა“, „პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“, „სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა“ და სხვ.). ასევე, დოკუმენტის დანართია „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის ფორმა“, რომელშიც აისახება ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და დაწესებულების შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების შესახებ.

- „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის თანახმად: „შეფასების პროცესში მონაწილეობს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო ყველა კომპონენტი და კომპონენტზე დარეგისტრირებული ყველა სტუდენტი. მოწმდება თითოეულ სავალდებულო სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა რამდენი პროცენტი იღებს შეფასებას A (ფრიადი) და შეფასებას F (ჩაიჭრა). დაკვირვება სავალდებულოა განხორციელდეს ყოველწლიურად (დაკვირვება დინამიკაში). რეაგირების საჭიროება დგება იმ შემთხვევაში, თუ 3-წლიანი დაკვირვების შედეგად დაფიქსირდება ერთ-ერთი მითითებული შედეგი:

  ა) პროგრამის კომპონენტის შემთხვევაში - თუ ერთსა და იმავე სასწავლო კურსში ყოველწლიურად ფიქსირდება ერთერთი მაჩვენებელი: ა) სტუდენტთა 10%-ზე მეტი შეფასების ხუთი დონიდან მუდმივად იღებს უმაღლეს შეფასებას (A (ფრიადი) – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა) ან ბ) სტუდენტთა 10%-ზე მეტი მუდმივად იღებს უარყოფით შეფასებას (F (ჩაიჭრა) – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები).
  ბ) ნაშრომების შემთხვევაში - შემოწმებული ნაშრომების 10%-ზე მეტი შეფასების რომელიმე ინდიკატორში ფასდება შეფასების დონით „სრულიად არ აკმაყოფილებს“ / „არ აკ-

მაყოფილებს“ ან შემოწმებული ნაშრომების 90%-ზე მეტი შეფასების რომელიმე ინდიკატორში ფასდება შეფასების დონით „აკმაყოფილებს“ და მხოლოდ 10% და ნაკლები - შეფასების დონით „მეტწილად აკმაყოფილებს“ და/ან „სრულიად აკმაყოფილებს“.

ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ვიზიტის დროს დაწესებულებას ეთხოვა რამდენიმე დოკუმენტის/ინფორმაციის დამატებით წარდგენა („ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული დასკვნა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების შესახებ“ (იხ. პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, გვ. 10, 11); „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წლიური ანგარიში“ (იხ. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“, გვ. 21). მოთხოვნის შესაბამისად, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა: „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების შესახებ“ და „ხარისხის განვითარების წლიური ანგარიში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის საქმიანობის წლიური ანგარიში“.

ზემოთ მითითებული დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის დანართები, მათ შორის:

- „სწავლის შედეგების რუკა“ - თითოეული სწავლის შედეგისთვის მითითებულია შედეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები და მათი მონაწილეობის დონე („გაცნობა“, „გაღრმავება“, „განმტკიცება“);
- „სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა“ - თითოეული სწავლის შედეგისთვის მითითებულია შედეგის ფორმირებისთვის სხვადასხვა მეთოდის მნიშვნელობა („მაღალი“, „საშუალო“, „დაბალი“);
- „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება“ - თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია: შეფასების ინდიკატორები და შეფასების დონეები (ვერ აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს“, „აკმაყოფილებს“; იხ. ინდიკატორების შეფასების რუბრიკა), ამ შედეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები, მათი შეფასების ინდიკატორები და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები (იხ. ინდიკატორების სასწავლო კურსებთან და სწავლის შეფასების მეთოდებთან შესაბამისობის რუკა). დოკუმენტის ერთ-ერთი რუბრიკა „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა“, სადაც თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია შემოწმების პერიოდი (2024-2025-დან 2028-2029-ის ჩათვლით).

დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების, შეფასების პროცედურებისა და მექანიზმების შესახებ ისაუბრეს ექსპერტებთან ინტერვიუში მონაწილე პირებმა - თვითშეფასების (სამუშაო) ჯგუფის წევრებმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარომადგენლებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. ასევე, პროგრამის შემუშავებისა და თვითშეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს პროგრამის შემუშავების და შეფასების პროცესში გამოყენებულ მიდგომებზე და მექანიზმებზე - მათი თქმით, შესწავლილ იქნა მოქმედ კანონმდებლობასთან, სტანდარტებთან, მათ შორის „ვეტერინარიის“ უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან პროგრამისა და მისი კომპონენტების შესაბამისობა, დარგში არსებული გამოწვევები, შრომის ბაზრის საჭიროებები და უცხოეთის უსდ-ების ანალოგიური პროგრამები, პროგრამისთვის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები (მაგ., პროგრამის ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფინანსური უზრუნველყოფა და სხვ.). სამუშაო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ

მათ ჰქონდათ სისტემატური კომუნიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სამუშაოს შესრულებისას მიიღეს სათანადო ინფორმაცია, კონსულტირება და მხარდაჭერა. ანალოგიური პოზიცია დააფიქსირეს პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა, რომლებმაც აღნიშნეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელშეწყობა პროგრამის და მისი კომპონენტების სილაბუსების შემუშავების პროცესში. ასევე, ინტერვიუში მონაწილე პირებმა განმარტეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შესაფასებლად გადაეგზავნა საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი, კურიკულუმის დანართები, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები), რის შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ მომზადდა დასკვნა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულებაში არსებულ ხარისხის მართვის/უზრუნველყოფის სისტემას აქვს რელევანტური თეორიული საფუძვლები, მკაფიოდ არის განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და პასუხისმგებლობები, გამოიყენება პროცესების რეგლამენტირების და მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომები, წინასწარ განსაზღვრული მეთოდები და მექანიზმები, პროცესების სქემები, უნიფიცირებული ფორმები და სხვ, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სისტემის კომპლექსურობას, გამჭვირვალობას და მდგრადობას. ამავდროულად, დეტალურად გაწერილი მიდგომების, პროცედურებისა და მექანიზმების მიუხედავად, მიზანშეწონილია დაიხვეწოს სამიზნე ნიშნულების დადგენის წესი და პროგრამის თითოეული შედეგისთვის მოხდეს არამხოლოდ თვისობრივი, არამედ რიცხობრივი მაჩვენებლების დადგენა (შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნულის ქულობრივი მაჩვენებელი და სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, რომლებიც ამ შედეგს მიაღწევენ). აღნიშნული ხელს შეუწყობს თითოეული შედეგების გაზომვადობას, შედეგის მიღწევის დინამიკაზე დაკვირვებას და გაუმჯობესების შესაძლებლობას (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით).
- პროგრამის შემუშავება და შეფასება - თანამშრომლობითი და კომპლექსური პროცესია, რომელიც განხორციელდა ჯგუფის მიერ წევრებს შორის ფუნქციების განაწილებით, მოქმედი წესების გამოყენებით და შედეგების შესახებ ინფორმირებით. პროგრამის შემუშავების პროცესში შესწავლილ იქნა პროგრამის განხორციელებისთვის სხვადასხვა მნიშვნელოვამი ასპექტი, ჩატარდა უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება, შრომის ბაზრის, პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეები მოსაზრებების შესწავლა. ასევე, განხორციელდა პროგრამის შიდა და გარე შეფასება. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუს შედეგებით).
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობდა პროგრამის შემუშავების მხარდაჭერაში და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კონსულტირებაში: პროგრამაში ჩართული პერსონალი ფლობს ინფორმაციას დაწესებულებაში მოქმედი წესების, შეფასების მიდგომებისა და მექანიზმების შესახებ, თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, იღებს სათანადო ინფორმაციას, კონსულტაციებსა და მხარდაჭერას, მათ შორის პროფესიული განვითარების მიმართულებით (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუს შედეგებით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“;
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“;

- „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების შესახებ“. (დამატებით წარმოდგენილი);
- „ხარისხის განვითარების წლიური ანგარიში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის საქმიანობის წლიური ანგარიში“. (დამატებით წარმოდგენილი);
- „საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასების ფორმა“;
- „კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო“ (თანდართული ფორმებით);
- „პერსონალის შეფასების წესი“ (თანდართული ფორმებით);
- „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“;
- პროგრამის კურიკულუმი და კომპონენტების სილაბუსები;
- „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა“ (კურიკულუმის დანართი #1);
- „სწავლის შედეგების რუკა“ (კურიკულუმის დანართი #2)
- „სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა“ (კურიკულუმის დანართი #3);
- „ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება“ (კურიკულუმის დანართი #4);
- „ვეტრინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა“ (კურიკულუმის დანართი #5);
- „პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი“ (კურიკულუმის დანართი #6);
- შრომის ბაზრის კვლევა;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და პროგრამის განვითარების პროცესში მათი გათვალისწინება - გამოყენების ანგარიში;
- გარე შემფასებლის დასკვნა;
- ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია გადაიხედოს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მიდგონა და პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის განისაზღვროს არამხოლოდ თვისობრივი, არამედ რაოდენობრივი მაჩვენებლებიც.
- მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში არსებული ტერმინი „სპეციალობა“ შეიცვალოს ჩანაწერით „ძირითადი სწავლის სფერო“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების თანახმად, გარე შეფასებაში მოიაზრება - ავტორიზაციის, აკრედიტაციის და მონიტორინგის შედეგები, საერთაშორისო ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის შედეგები; ადგილობრივი/საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების, პრაქტიკის ობიექტების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციების და სხვა გარე შემფასებლების მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები, რაც იძლევა შემდგომში სხვადასხვა გარე შეფასების განხორციელებისა და მიღებული შედეგების კომპლექსურად გამოყენების შესაძლებლობას.

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ახალია და ამ ეტაპზე გარე შეფასება განახორციელა დარგის სპეციალისტმა - საქართველოს ერთ-ერთი უსდ-ს წარმომადგენელმა, რომელმაც დადებითად შეაფასა პროგრამა და აღნიშნა მისი ძლიერი მხარეები (გარე შემფასებლის პოზიცია დასტურდება ოფიციალური წერილით).

ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა და პოტენციურმა დამსაქმებლებმა (დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა) აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გაითვალისწინებულ იქნა ყველა მნიშვნელოვანი გარემოება, რაც დამსაქმებლებლების განმარტებით წარმოადგენს პროგრამის დადებითად შეფასების საფუძველს.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2 წლის წინ წარმოებული აკრედიტაციის დროს (როცა აკრედიტაცია ვერ მიიღო დაწესებულებამ) გაცემული პრაქტიკულად ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“;
- გარე შემფასებლის დასკვნა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ს წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.

შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამებს მონიტორინგის და შეფასების პროცესის ძირითადი განმსაზღვრელი დოკუმენტებია: „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“ და „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“. გარდა მითითებულისა, დაწესებულებაში გამოიყენება სხვა წესები/ინსტრუქციები, მაგალითად, „კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო“ (ერთვის ამ მიზნით შემუშავებული 23 ფორმა), „პერსონალის შეფასების წესი“ (ერთვის ამ მიზნით შემუშავებული 9 ფორმა). შეფასების პროცესში გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, მაგალითად: აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სასწავლო პროცესის და საგამოცდო პერიოდის, სასწავლო კურსების და სხვა შეფასებები. ასევე, გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური შეფასება, დაკვირვებას და შეფასებას ექვემდებარება სტუდენტთა აკადემიური მოსწრება (აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში ეს პროცესი განხორციელდება 2024-2025 აკადემიური წლიდან). შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება დაინტერესებულ მხარეთა (პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები) მოსაზრებების შესწავლა (დამოკიდებულებების კვლევა). განხორციელებული შეფასების შედეგები ექვემდებარება შესწავლას და ანალიზს, რის საფუძველზე შემუშავდება გასაუმჯობესებელ გარემოებებზე რეაგირების მექანიზმები და რეკომენდაციები. შეფასების შედეგები აისახება ანგარიშებში, რომლებიც გადაეცემა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და მათ კოორდინატორს - ვიცე-რექტორს. ზემოთ აღნიშნული მექანიზმების გამოყენება, ასევე, შეფასების პროცესის სისტემური და კოორდინირებული ხასიათი დასტურდება პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანდართული დოკუმენტებით (წესები, ჩატარებული შეფასებები, ანგარიშები და სხვ.) და ინტერვიუს შედეგებით (პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები, თვითშეფასების ჯგუფის წევრები, ხარისხის უზრუნველყოფის და სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები). აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ახალია და ობიექტური გარემოებების გამო ვერ იქნებოდა გამოყენებული დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული მექანიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ეტაპზე შეიძლება ზოგადად დადასტურდეს მოქმედი მექანიზმების გამოყენების ფაქტი და მოხდეს იმ მექანიზმების აღწერა, რომლებიც აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამისთვის იყო გამოყენებული, კერძოდ: • დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების შესწავლა - რესპოდენტები: დამსაქმებლები (9), სტუდენტები (5) და კურსდამთავრებულები (6) (სხვა უსდ-ს სტუდენტები და კურსდამთავრებულები), პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (20). დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები გაანალიზებული და შეჯამებულია ანგარიშის სახით („დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და პროგრამის განვითარების პროცესში მათი გათვალისწინება - გამოყენების ანგარიში“). დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, გაიგზავნა კითხვარები და დამატებითი ინფორმაცია (პროგრამის აღწერილობა, სასწავლო გეგმა, დამსაქმებლების შემთხვევაში - ასევე, სწავლის შედეგების რუკა და კურიკულუმის სხვა დანართები). ინტერვიუს დროს პოტენციურმა დამსაქმებლებმა დაადასტურეს გამოკითვებში მონაწილეობა, პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა და პრაქტიკაზე სტუდენტთა მიღების თანხმობა. თუმცა გაირკვა, რომ მემორანდუმებში მითითებული და ინტერვიუს დროს მათ მიერ დასახე-

ლებული სტუდენტთა რაოდენობები განსხვავდება ერთმანეთისაგან;

- პროგრამის შიდა შეფასება - განხორციელდა პროგრამის პროექტის წინასწარი რევიზია.
- გარე შეფასება - პროგრამა შეფასდა დაწესებულებასთან არააფილირებული დარგის სპეციალისტის (საქართველოს სხვა უსდ-ს წარმომადგენლის) მიერ;
- საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების პროგრამების შესწავლა - განხორციელდა საქართველოს 2 უსდ-ს და უცხოეთის 6 უსდ-ების პროგრამების შესწავლა, პროგრამების დადარება და არსებული გამოცდილების გაზიარება. შესწავლის შედეგები აღწერილი და გაანალიზებულია დოკუმენტში „შპს ევროპის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი (Benchmarking)“. გამოიკვეთა ის სასწავლო კურსები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილ პროგრამაში.

გარდა ზემოთ მითითებული მექანიზმების გამოყენების დოკუმენტური დადასტურებისა, აღსანიშნავია ინტერვიუს შედეგებიც, მაგალითად: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს დაწესებულებაში მოქმედ მიდგომებზე და უკვე ჩატარებულ შეფასებებზე, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს შეფასების სისტემატურობა და კომპლექსურობა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა (სხვა, მოქმედი პროგრამიდან) დაადასტურეს შეფასებებში (გამოკითხვებში) მონაწილეობა. პოტენციურმა დამსაქმებლებმა დააფიქსირეს პროგრამის აქტუალობა და მათ მიერ პროგრამის დადებითი შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“;
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“;
- „საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასების ფორმა“;
- „კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო“ (თანდართული ფორმებით);
- „პერსონალის შეფასების წესი“ (თანდართული ფორმებით);
- „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“;
- ლექტორთა კმაყოფილების კვლევა (2019-2020) - გამოკითხვა და ანალიზი (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; ბიბლიოთეკა; უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა; სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მხრიდან აღმოჩენილი მხარდაჭერა; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა; უნივერსიტეტის პოლიტიკა აკადემიური პერსონალის მიმართ);
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (2019-2020) - გამოკითხვა და ანალიზი (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; სასწავლო და საგამოცდო პერიოდის ორგანიზება; უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა; სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მხრიდან აღმოჩენილი მხარდაჭერა; საერთაშორისო სტუდენტური ღონისძიებები);
- კმაყოფილების კვლევის შედეგებზე რეაგირების დოკუმენტები;
- ლექტორების და სასწავლო კურსების შეფასება;
- საგამოცდო პროცესის შეფასება;
- სააუდიტორიო მუშაობის შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამების წლიური შეფასება;
- სტუდენტთა აკადემური მოსწრების ანალიზი და შედეგების გათვალისწინება;
- პროგრამის მიზნებისთვის ჩატარებული დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროგრამის განმახორციელებლების) გამოკითხვები;
- პროგრამის მიზნებისთვის ჩატარებული დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და პროგრამის განვითარების პროცესში მათი გათვალისწინება - გამოყენების ანგარიშები;
- მემორანდუმები პრაქტიკის ობექტებთან;
- გარე შემფასებლის დასკვნა;
- ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი („შპს ევროპის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან

შედარების ანალიზი (Benchmarking)“); ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მიზანშეწონილია პროგრამის შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად გამოყენებულ იქნეს პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობების, მათ შორის დადგენილი ვადით და რაოდენობით სტუდენტთა მიღების მზაობის შესწავლა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს „ევროპის უნივერსიტეტი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის პროექტის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ბესარიონ ლასარეიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

გიორგი მელაშვილი

ლევან ციცქიშვილი

თამარ გვიანიშვილი

მირანდა ნონიკაშვილი